

კამელინის გამოყენება ვერტებრონევროლოგიაში

ნინო ფალიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკა
„ხერხემალის“ ხელმძღვანელი

კლინიკა „ხერხემალი“ წარმოადგენს სარეაბილიტაციო ცენტრს, რომელშიც წარმოდგენილია ხერხემლისა და სახსრების კომპლექსური მკურნალობის მეთოდები. კამელინის გამოყენების მეთოდიკამ დაიკავა ღირსეული ადგილი ჩვენს კლინიკაში. ჩვენ დავწერეთ და აქტიურად ვიყენებთ კამელინს ოსტეოხონდროზისა და დისკოპათიების მკურნალობაში.

კამელინს ვიყენებთ ოსტეოართრიტის ქვემწვავე პერიოდში, ბურსიტის, ტენდოვაგინიტის, ოსტეოართროზის მკურნალობაში.

კამელინი M3 შეგვყავს ულტრაფონოფორეზით 10 წუთის განმავლობაში, სიმძლავრე 0,6 – 1 ვატი. კურსი 10-15 პროცედურა.

კამელინი M1 გამოიყენება ელექტროფორეზის სახით დისკოპათიების დროს. განსაკუთრებით ეფექტურია ტკივილის სინდრომიდან გამოსვლისას მე-2-ე სტადიაში და ქვემწვავე პერიოდში. აგრეთვე მალთაშორისი თიაქრის ოპერაციის შემდგომ პერიოდში ნაწიბურის ფორმირების დროს.

მიღებულია შემდეგი შედეგები:

- ხდება პროცესის ქიმიზაციის შემცირება, რაც სხვათაშორის საშუალებას გვაძლევს აქტიურად გამოვიყენოთ იგი ბავშვებში და აგრეთვე ქალებში ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში;
 - გამოიყენება პოლიოსტეოართროზის დროს, მათ შორის კელგრენის დაავადების შემთხვევაში, როდესაც ხანგრძლივი მკურნალობაა საჭირო. კამელინის გამოყენება შეიძლება არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო საშუალებებთან ერთად როგორც მწვავე, ასევე ქვემწვავე პერიოდში, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალების დოზის თანდათან შემცირებით.
- დადებითი შედეგი აიხსნება აგრეთვე იმით, რომ მკურნალობა კომპლექსურად მიმდინარეობს.
- პაციენტებს არ სურთ ხანგრძლივი ჰორმონოთერაპიის ჩატარება და აგრეთვე ხანგრძლივი მკურნალობა არასტეროიდებით. სწორედ ამ შემთხვევაში (ხანგრძლივი თერაპიის დროს) არჩევის პრეპარატია კამელინი, რომელიც გამოიყენება აგრეთვე პრევენციის მიზნით.

ამ მეთოდუკამ, რომელიც ჩვენ კლინიკა „ხერხემალში“ დავნერგეთ, გაიარა აპრობაცია აგრეთვე ჩვენი სამედიცინო კომპანიის 3 სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში ქ. მოსკოვში. აპრობაცია ჩაატარა ამ ცენტრების ხელმძღვანელმა ფიოდორ სტუპინმა.

აპრობაციის შედეგები აგრეთვე დადებითია, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმედოვნოდ, რომ კამელინი მალე შეიძლება რუსულ ბაზარზეც იყოს წარმოდგენილი.